

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა N24

დღის წესრიგი:

1. სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2007 წლის საქმიანობის ანგარიშის დამტკიცება;
2. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2008 წლის 1 კვარტლის საქმიანობის ანგარიში;
3. სტუ-ს 2008 წლის ბიუჯეტში მიმდინარე ცვლილებების დამტკიცება {დაცვის ტენდერიდან დარჩენილი ეკონომიის ხარჯიდან 12000 ლარი გადატანილ იქნეს ოფისის ხარჯების, საოფისე ტექნიკის, ინვენტარისა და მოწყობილობების შეძენის ხარჯებში (სიგნალიზაციების შეძენის მიზნით) და რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯებში 5000 ლარი (ელექტრიკოსების სპეც. ტანსაცმლის შეძენის მიზნით)};
4. კოსტავას ქ. ¹ 68-ში მდებარე სტუ-ს I სასწავლო კორპუსის კიბეების მიმდებარე ტერიტორიის 550 კვ.მ (შპს “კენგურუს” მიერ იჯარით აღებული ფართის 5 წლის ვადით მიმდებარე ტერიტორია) იჯარის ხელშეკრულებით გაცემის ნებართვის შესახებ;
5. კოსტავას ქ. ¹ 69-ში მდებარე სტუ-ს X სასწავლო კორპუსის (II კორპუსიდან X კორპუსში გადასასვლელი) მე-2 სართულზე არსებული 150 კვ.მ ფართის 5 წლის ვადით იჯარის ხელშეკრულებით გაცემის ნებართვის შესახებ. საოფისე და სატელეკომუნიკაციო საქმიანობისათვის;
6. აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილებაში სპეციალისტის 2 სამტატო ერთეულის ნაცვლად დაფიქსირდეს უფროსი სპეციალისტის 1 სამტატო ერთეული (საფუძველი: განყოფილების უფროსის მოხსენებითი ბარათი);
7. სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილებაში სპეციალისტის 1 სამტატო ერთეულის ნაცვლად დაფიქსირდეს უფროსი სპეციალისტის 1 სამტატო ერთეული (საფუძველი: განყოფილების უფროსის მოხსენებითი ბარათი);
8. გაუქმდეს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მდივან-რეფერენტის თანამდებობა და შეიქმნას ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილის თანაშემწის თანამდებობა;
9. სწავლებისა და მეცნიერების სამმართველოს ეწოდოს სწავლებისა და მეცნიერების დეპარტამენტი;
10. სამეურნეო და საექსპლუატაციო-სარემონტო სამმართველოს ეწოდოს სამეურნეო და საექსპლუატაციო-სარემონტო დეპარტამენტი;
11. სახელწოდება შეეცვალოს: სპიკერის თანაშემწეს და ეწოდოს წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნოს უფროსი (ხელფასის შენარჩუნებით), ხოლო წარმომადგენლობითი საბჭოს მდივან-რეფერენტს - წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნოს სპეციალისტი (ხელფასის შენარჩუნებით);
12. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონიტორინგის ჯგუფის უფროსის ხელფასის მატების საკითხი. M(მისი ხელფასი 589 ლარიდან გაიზარდოს 800 ლარამდე);
13. ნაგებობების, სპეციალური სისტემების და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის, შემოსავლებისა და ხარჯების ხარჯთაღრიცხვაში შესატანი ცვლილებების შესახებ;

14. მიმდინარე საკითხები.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს

2008 წლის 9 ივლისის სხდომის

ოქმი №24

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომას, სიითი შემადგენლობის 71 წევრიდან, ესწრებოდა 52. სხდომას უძღვებოდა სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი პროფ. ეკატერინე თევზაძე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი (იხ. დანართი) და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი. **წარმოდგენილ დღის წესრიგს კენჭი ეყარა ერთხმად.**

სპიკერმა მიმართა საბჭოს წევრებს, რათა აერჩიათ ხმის დამთვლელი კომისია 3 კაცის შემადგენლობით. დასახელდა საბჭოს შემდეგი წევრები: პროფ. ვლადიმერ ხოჭოლავა, პროფ. ვანო ჭიაურელი, სტუდენტი – ლიკა ციმაკურიძე. ამის შემდეგ სპიკერმა დღის წესრიგის პირველი საკითხის განსახილველად სიტყვა გადასცა ადმინისტრაციის ხელმძღვანელს პროფ. ქეთევან ქოქრაშვილს. შეთანხმდნენ გამომსვლელთა დროის რეგლამენტზე: ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ანგარიშის წარმოსადგენად მიეცა 10 წუთი, საფინანსო და ეკონომიკური საკითხების შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარეს დასკვნის წარმოსადგენად 5 წუთი, კამათში გამომსვლელებს 3-5 წუთი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 18-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის "ვ" ქვეპუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი პუნქტის "თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ჩემი, როგორც ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების ფარგლებში, დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ 2007 წელს გაწეული სამუშაოს ანგარიშს. ანგარიში თქვენ ყველას დაგირიგდათ და შემიძლია უპასუხო თქვენს შეკითხვებს (იხ. დანართი 1, 2, 3, 4, 5).

სპიკერი – შეკითხვები, როგორც ჩანს არ არის, ამიტომ, დასკვნის წარმოსადგენად, სიტყვას გადავცემ საფინანსო და ეკონომიკური საკითხების

შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომიის თავმჯდომარეს პროფ. დავით ჯაფარიძეს

პროფ. დავით ჯაფარიძე – უნდა აღინიშნოს, რომ წარმომადგენლობითი საბჭოს მოთხოვნის შესაბამისად სტუ-ს ადმინისტრაციამ წარმოადგინა ბიუჯეტში შემოსავლებისა და ხარჯების კლასიფიკატორით განსაზღვრული მუხლების შესაბამისად 2007 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ დეტალური ანგარიში. წარმოდგენილ ანგარიშში ასახულია ინფორმაცია ადმინისტრაციაში შემავალი სამსახურების მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ. რაც შეეხება საქმიანობას ადმინისტრირების თვალსაზრისით იგი ბევრად მოწესრიგდა და შედეგებიც ძალიან კარგია – მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელფასები. მიუხედავად ჩატარებული მუშაობისა კომისია თვლის, რომ ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა: ა) მიმდინარე წლის სექტემბრის თვეში წარმომადგენლობით საბჭოს უნდა წარმოუდგინოს 2007 წლის ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობის შესახებ აუდიტორული დასკვნა; ბ) მიმდინარე წლის ოქტომბრის თვეში დაამუშაოს სტუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კომპლექსური პროგრამა პრიორიტეტული მიმართულებების ჩვენებით და წარმოუდგინოს წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად; გ) გაატაროს სამართლებრივი და ადმინისტრაციული ზომები კავკასიის ბიზნეს-სკოლის მიერ სტუ-ს წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად. ამასთან გაითვალისწინოს, რომ ამ საკითხების გადაწყვეტაზე პასუხისმგებლობა ეკისრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციას.

კომისია აგრეთვე თვლის, რომ ადმინისტრაციის მიერ წარმოდგენილი ანგარიში 2007 წლის საქმიანობის შესრულების შესახებ, პასუხობს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს და შეიძლება რეკომენდირებული იქნას წარმომადგენლობით საბჭოზე დასამტკიცებლად.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – მინდა მადლობა გადაგიხადოთ, რომ დადებითად შეაფასეთ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მუშაობა.

1) აუდიტორული დასკვნა 2007 წელს, მე როგორც ამირჩიეს მაშინვე მოწესრიგდა. მე გაძლევთ პირობას, რომ აუდიტორული დასკვნა იქნება გამჭვირვალე ყოველწლიურად.

2) მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სტრატეგიული გეგმა შედგება 15 გვერდისაგან და მასში მატერიალური უზრუნველყოფის მხრივ არის ნახევარი გვერდი. ამ პროგრამის დადება მთლიანად შეუძლებელია, რადგან ის ეხება აკადემიური სწავლების გაუმჯობესებას. მე რაც მომეთხოვება, ეს არის

მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვა. ჩატარდა ტენდერი და გამოვლინდა გამარჯვებული. შედეგად ჩატარდება 3-4 კორპუსის ფანჯრების მონტაჟი და დემონტაჟი. აგრეთვე I კორპუსის "ც" კორპუსის ფანჯრების მონტაჟი-დემონტაჟი. შედარებით მოწესრიგდა საუნივერსიტეტო კლასების კომპიუტერიზაცია. ბოლო წლინახევრის განმავლობაში იმდენი კომპიუტერი შემოვიდა, რამდენიც არ შემოსულა ბოლო 15 წლის განმავლობაში. უმანიტარულ-სოციალურ ფაკულტეტზე გაკეთდა ერთი კომპიუტერული კლასი; ერთი – გერმანულენოვანზე; სამშენებლო ფაკულტეტზე ერთი ახალი კლასი, გარემონტდა ერთი ძველი კლასი; სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე ექვსი კლასი; ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტზე 8 კლასი; პირველ კორპუსში ახალი კომპიუტერული ცენტრი გაიხსნა.

ოთხი. აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასების ზრდა არ შეჩერდება და გაგრძელდება როგორც კი შეგვეწყობა ხელი. სტუდენტების სტიპენდიები გაიზრდება. საუნივერსიტეტო სპორტის ხელშეწყობაცაა გათვალისწინებული. შარშან მოგვებნეთ სპონსორი – კახეთის გუბერნატორი და იგი ხელბურთის გუნდს 50%-ით აფინანსებს. სტუ-სთვის ერთი გუნდის არსებობა არაფერია და სექტემბერ-ოქტომბრის თვეში ჩვენ ვგეგმავთ შევექმნათ კალათბურთისა და ფეხბურთის არაერთი გუნდი.

3) რაც შეეხება ბიზნეს სკოლას, მათთვის სამი წერილი მაქვს გაგზავნილი და ერთ-ერთს წავიკითხავთ:”ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ გაათავისუფლოთ დაკავებული ფართი“. მე არ მინდა საზოგადოებას შეექმნას აზრი, რომ ადმინისტრაცია და რექტორატი უგულვებელყოფს თქვენს მოთხოვნას. იქ ჯერ კიდევ შემორჩა ჩვენი სტუდენტები. კავკასიის ბიზნეს-სკოლამ დეკლარირებულად აღიარა ვალი და წარმოგვიდგინა გრაფიკი, რის მიხედვითაც დაფარავენ ვალს, ხოლო ვალის არ გადახდის შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია მათ ვუჩივლოთ და ეს საქმე მოვიგოთ კიდევ.

პროფ. დავით ჯაფარიძე – კავკასიის ბიზნეს-სკოლას აღიარებული აქვს მხოლოდ 2007 წლის ვალი. ჩვენ დაგიდგებით მხარში და ეს საკითხი ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოისპოს დღის წესრიგიდან.

პროფ. ივანე შევთვალიშვილი – იქნებ დაფების საკითხიც მოწესრიგდეს?

პროფ. თალიკო ჟვანია – ახალი კომპიუტერები მოგვიტანეს, მაგრამ გვაქვს სკამების პრობლემა.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – რამდენი სკამიც მოითხოვეს დეკანებმა, ყველა დაკმაყოფილებულია.

პროფ. ჯემალ ბერიძე – შესწორდეს საბჭოს გადაწყვეტილების პროექტში შემდეგი სიტყვა: 1) დამტკიცდეს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი ანგარიში 2007 წლის საქმიანობის (და არა ბიუჯეტის) შესრულების შესახებ.

სპიკერი – მიღებულია თქვენი შენიშვნა.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი ანგარიში 2007 წლის საქმიანობის შესრულების შესახებ.

წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2008 წლის 9 ივლისის №24 სხდომის

ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2008 წლის 9 ივლისის №24 სხდომაზე სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი იქნა საკითხი სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2007 წლის საქმიანობის ანგარიშის დამტკიცება.

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 24 მუხლის პირველი პუნქტის "ვ" ქვეპუნქტის, მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის და 21 მუხლის პირველი პუნქტის "თ" ქვეპუნქტის შესაბამისად წარმომადგენლობითმა საბჭომ მოისმინა და განიხილა რა სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის პროფ. ქეთევან ქოქრაშვილის ანგარიში 2007 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ და აღნიშნულ ანგარიშზე სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს საფინანსო და ეკონომიკური საკითხების შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის დადებითი დასკვნა საბჭომ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ანგარიში 2007 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ;

2. ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ეთხოვოს:

ა) მიმდინარე წლის სექტემბრის თვეში წარმომადგენლობით საბჭოს წარმოუდგინოს 2007 წლის ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობის შესახებ აუდიტორული დასკვნა;

ბ) მიმდინარე წლის ოქტომბრის თვემდე დაამუშაოს სტუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კომპლექსური პროგრამა, პრიორიტეტული მიმართულებების ჩვენებით და წარმოუდგინოს

წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად;

გ) გაატაროს სამართლებრივი და ადმინისტრაციული ზომები კაგეპასიის ბიზნეს-სკოლის მიერ სტუ-ს წინაშე აღებული ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად. გაითვალისწინოს, რომ ამ საკითხის გადაწყვეტაზე პასუხისმგებლობა ეკისრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციას.

სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ანგარიში 2007 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ დამტკიცებული იქნა ერთხმად.

სპიკერი – გადავიდეთ დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხზე – ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2008 წლის I კვარტლის საქმიანობის ანგარიშის შესახებ – მომხსენებელი სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – ამჟამად წარმოგიდგენთ 2008 წლის I კვარტლის ანგარიშს (იხ. დანართი 6), ხოლო შევუღლებიდან დაბრუნების შემდეგ წარმოგიდგენთ 2-3 კვარტლის ანგარიშს. ნებისმიერი თანხა რაც გადატანილია მუხლიდან მუხლში ყველაფერი თქვენთან არის შეთანხმებული. I კვარტალი საკმაოდ აქტიურია განსხვავებით II კვარტლისაგან, სტუდენტების მიერ სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით. ჩვენ გვაქვს სახელმწიფო დაფინანსების ბოლო წელი. I კვარტალში იჯარებიდან 100% შემოსავალი მივიღეთ.

სპიკერი – ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ 2008 წლის I კვარტლის საქმიანობის შესახებ ანგარიში შემოსულია ინფორმაციის სახით და კენჭისყრაზე არ ვაყენებ, უბრალოდ ცნობად უნდა მივიღოთ.

გადავიდეთ დღის წესრიგის მესამე საკითხზე – სტუ-ს 2008 წლის ბიუჯეტში მიმდინარე ცვლილებების დამტკიცება (დაცვის ტენდერიდან დარჩენილი ეკონომიის ხარჯიდან 12000 ლარი გადატანილ იქნეს ოფისის ხარჯების, საოფისე ტექნიკის, ინვენტარისა და მოწყობილობების შეძენის ხარჯებში (სიგნალიზაციების შეძენის მიზნით) და რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯებში 5000 ლარი (ელექტრიკოსების სპეც. ტანსაცმლის შეძენის მიზნით) – მომხსენებელი სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – სტუ-ს 2008 წლის ბიუჯეტში მიმდინარე ცვლილებების დამტკიცება (დაცვის ტენდერიდან დარჩენილი ეკონომიის

ხარჯიდან 12000 ლარი გადატანილ იქნას ოფისის ხარჯების, საოფისე ტექნიკის, ინვენტარისა და მოწყობილობების შეძენის ხარჯებში (სიგნალიზაციის შეძენის მიზნით) და რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯებში 5000 ლარი (ელექტრიკოსების სპეც. ტანსაცმლის შეძენის მიზნით). არის ობიექტები, სადაც საჭიროა სიგნალიზაციები. ჩვენ დამონტაჟების ფულს არ ვიხდით, ჩვენ ვიხდით მხოლოდ შეძენის ფულს და ტენდერში ვინც გაიმარჯვა მათ უკვე მოველაპარაკეთ.

სპიკერი – ვინ არის მომხრე, რომ ეს ცვლილება შეტანილ იქნას სტუ-ს 2008 წლის ბიუჯეტში? ვუყაროთ კენჭი.

წარმოდგენილ ცვლილებას კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2008 წლის 9 ივლისის №24 სხდომის

ბ ა დ ა ო ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2008 წლის 9 ივლისის №24 სხდომაზე სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი იქნა საკითხი – სტუ-ს 2008 წლის ბიუჯეტში მიმდინარე ცვლილებების დამტკიცება (დაცვის ტენდერიდან დარჩენილი ეკონომიკის ხარჯიდან 12000 ლარი გადატანილ იქნას ოფისის ხარჯების, საოფისე ტექნიკის, ინვენტარისა და მოწყობილობების შეძენის ხარჯებში (სიგნალიზაციების შეძენის მიზნით) და რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯებში 5000 ლარი (ელექტრიკოსების სპეც. ტანსაცმლის შეძენის მიზნით)) – დამტკიცების შესახებ.

სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით – დამტკიცებული იქნა ერთხმად

– სტუ-ს 2008 წლის ბიუჯეტში მიმდინარე ცვლილებები (დაცვის ტენდერიდან დარჩენილი ეკონომიკის ხარჯიდან 12000 ლარი გადატანილ იქნას ოფისის ხარჯების, საოფისე ტექნიკის, ინვენტარისა და მოწყობილობების შეძენის ხარჯებში (სიგნალიზაციების შეძენის მიზნით) და რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯებში 5000 ლარი (ელექტრიკოსების სპეც. ტანსაცმლის შეძენის მიზნით)).

სპიკერი – წარმოგიდგინებ დღის წესრიგის მე-4 საკითხს – კოსტავას ქ. № 68-ში მდებარე სტუ-ს I სასწავლო კორპუსის კიბეების მიმდებარე ტერიტორიის 550 კვ.მ (შპს “კენგურუს” მიერ იჯარით აღებული ფართის მიმდებარე ტერიტორია) 5 წლის ვადით იჯარის ხელშეკრულებით გაცემის ნებართვის შესახებ – მომხსენებელი სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – კოსტავას ქ. № 68-ში მდებარე სტუ-ს I სასწავლო კორპუსის კიბეების მიმდებარე ტერიტორიის 550 კვ.მ (შპს “კენგურუს” მიერ იჯარით აღებული ფართის მიმდებარე ტერიტორია) 5 წლის ვადით იჯარის ხელშეკრულებით გაცემის ნებართვის შესახებ. ჩვენ ვთხოვეთ მათ წარმოედგინათ სავარაუდო შემოსავალი და იმის გათვალისწინებით, რომ ეს არ არის შენობა და არის სეზონური, ეს თანხა დაახლოებით შეადგენს 10000 დოლარის ექვივალენტს.

სპიკერი – უნდა მოგახსენოთ, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის I კორპუსი წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლს და რომ იგი საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს 2007 წლის 05.01 №46 ნომერში კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსით არის გამოქვეყნებული, რაც “საქართველოს კანონით კულტურული მემკვიდრეობის შესახებ” გარკვეულ შეზღუდვებს აწესებს ამ სტატუსის მქონე ობიექტების მიმართ. მან გააცნო საბჭოს წევრებს კანონის 28 მუხლი “ძეგლის მესაკუთრის (კანონიერი მოსარგებლის) უფლება-მოვალეობანი” – კერძოდ ამ მუხლის 1 პუნქტის დ) ქვეპუნქტი “არ დაუშვას ძეგლზე რაიმე სახის თვითნებური ზემოქმედება, მათ შორის, ძეგლის ნაწილების ან ფრაგმენტების გადაკეთება, დანაწევრება, დაშლა, დამატება”. სანამ არ იქნება ქალაქის სპეციალური სამსახურის დასკვნა, ჩვენ არ გვაქვს უფლება იჯარით გავცეთ ეს ფართი და ნებართვა გავცეთ მის გადახურვაზე. მე გთავაზობთ გადაწყვეტილების პროექტს შემდეგი ფორმულირებით:

1. უარი ეთქვას შპს "კენგურუს" აღნიშნული ფართის იჯარით გაცემის თაობაზე და საკითხი გადატანილ იქნას იმ დრომდე სანამ არ წარმოადგენენ ქალაქის არქიტექტურული სამსახურიდან შესაბამის ნებართვას;

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – ჩვენ რომ ფასადის შეცვლა მოვინდომოთ, აუცილებლად შევათანხმებთ ქალაქის შესაბამის სამსახურთან.

სპიკერი – ეს ფასადის შეცვლაა.

პროფ. ნაომ ბოჭორიშვილი – მე არ მაქვს შანსი ვაწარმოო ბიზნესი, მაგრამ როგორი ლამაზია 3-4 კორპუსი. I კორპუსში კიბეების მიმდებარე ტერიტორიაზე ყრიან ათას რაღაცას, ამიტომ უნდა გადაიხუროს, ლამაზიც იქნება და თან შემოსავალიც შემოვა.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ ეს გადაწყვეტილება გავაგზავნოთ განათლებისა და ეკონომიკის სამინისტროებში და ამის შემდეგ გამოცხადდება ტენდერი.

პროფ. ჯუმბერ იოსებიძე – იქ არის სიბინძურე და თუ გადახურავენ უკეთესი იქნება.

პროფ. ნაომ ბოჭორიშვილი – ჩვენს თვალწინ აგვაცალეს მე-9 კორპუსი. ეს ჩვენი თანამშრომლები არიან და დაუჭიროთ მხარი.

პროფ. დავით ჯაფარიძე – რა სახით მოხდება ამ ტერიტორიის ათვისება? უნდა შევათანხმოთ ძეგლთა დაცვის სამსახურთან? V ფიქრობ მივცეთ უფლება ადმინისტრაციას გამოაცხადოს ტენდერი ამ ობიექტზე, ტენდერის პირობებში კი ნათლად უნდა ჩამოაყალიბდეს თუ რა უფლებებს მივცემთ მათ, არქიტექტურის სამსახურთან შეთანხმებით.

სპიკერი – სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭო არ არის უფლებამოსილი გააიჯაროს ეს ფართი მისი გადახურვის ნებართვით, კონკურსში გამარჯვებულმა მიმართოს ქალაქის არქიტექტურულ სამსახურს, წარუდგინოს პროექტი, მიიღოს შესაბამისი დასკვნა და მხოლოდ შემდეგ შეიძლება ამ ფართის იჯარით გაცემის თაობაზე საბჭოზე მსჯელობა.

გაიმართა კამათი და ბოლოს **საკითხი კენჭისყრაზე დადგა შემდეგი ფორმულირებით:**

– სტუ-ს ადმინისტრაციას მიეცეს უფლება გამოაცხადოს კონკურსი ამ ობიექტზე კერძოდ: კოსტავას ქ. № 68-ში მდებარე სტუ-ს I სასწავლო კორპუსის კიბეების მიმდებარე ტერიტორიაზე, და კონკურსის პირობებში არქიტექტურის სამსახურთან შეთანხმებით ნათლად ჩამოაყალიბოს, თუ რა უფლებებით გაიცემა ეს ფართი მოიჯარეზე.

წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა: მომხრე – 47, წინააღმდეგი – 1, თავი შეიკავა – 4.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2008 წლის 9 ივლისის №24 სხდომის

ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2008 წლის 9 ივლისის №24 სხდომაზე სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი იქნა საკითხი კოსტავას ქ. № 68-ში მდებარე სტუ-ს I სასწავლო კორპუსის კიბეების მიმდებარე ტერიტორიის 550 კვ.მ ფართის 5 წლის ვადით იჯარით გაცემის შესახებ.

სპიკერის მიერ გამოთქმული იქნა უარყოფითი დამოკიდებულება ამ საკითხთან დაკავშირებით. მან წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია იმის თაობაზე, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის I კორპუსი წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლს და რომ იგი საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს 2007 წლის 05.01 №46 ნომერში კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსით არის გამოქვეყნებული, რაც “საქართველოს კანონით კულტურული მემკვიდრეობის შესახებ” გარკვეულ შეზღუდვებს აწესებს ამ სტატუსის მქონე ობიექტების მიმართ. მან გააცნო საბჭოს წევრებს კანონის 28 მუხლი “ძეგლის მესაკუთრის (კანონიერი მოსარგებლის) უფლება-მოვალეობანი” – კერძოდ ამ მუხლის 1 პუნქტის დ) ქვეპუნქტი “არ დაუშვას ძეგლზე რაიმე სახის თვითნებური ზემოქმედება, მათ შორის, ძეგლის ნაწილების ან ფრაგმენტების გადაკეთება, დანაწევრება, დაშლა, დამატება”. მან ასევე აღნიშნა – სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭო არ არის უფლებამოსილი გააიჯაროს ეს ფართი მისი გადახურვის ნებართვით და, რომ კონკურსში გამარჯვებულმა მიმართოს ქალაქის არქიტექტურულ სამსახურს, წარუდგინოს პროექტი, მიიღოს შესაბამისი დასკვნა და მხოლოდ შემდეგ შეიძლება ამ ფართის იჯარით გაცემის თაობაზე საბჭოზე მსჯელობა.

გაიმართა კამათი და ბოლოს *საკითხი კენჭისყრაზე დადგა შემდეგი ფორმულირებით:*

- სტუ-ს ადმინისტრაციას მიეცეს უფლება გამოაცხადოს კონკურსი ამ ობიექტზე კერძოდ: კოსტავას ქ. № 68-ში მდებარე სტუ-ს I სასწავლო კორპუსის კიბეების მიმდებარე ტერიტორიაზე, და კონკურსის პირობებში არქიტექტურის სამსახურთან შეთანხმებით ნათლად ჩამოაყალიბოს, თუ რა უფლებებით გაიცემა ეს ფართი მოიჯარეზე.

საკითხს კენჭი ეყარა – მომხრე – 47; წინააღმდეგი – 1; თავი შეიკავა – 4.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერის პროფ. ეკატერინე თევზაძის მიერ საბჭოს წინაშე განსახილველად დაყენებული იქნა 2 საკითხი:

1. სტუ-ს I კორპუსის ფასადზე ამჟამად განთავსებული წარწერის “ხინკლის სახლი”-ს მოხსნის თაობაზე;
2. სტუ-ს ყველა სასწავლო კორპუსზე წარწერებისა და სტუ-ს სიმბოლიკის განთავსების შესახებ.

პროფ. ჯემალ ბერიძე – 3-4 კორპუსის ლაბორატორიები გახდა რესტორნები. ჩვენ ახლაც იგივეს ვაგრძელებთ.

სტუდენტი თემურ დუნდუა – ჩვენ ეს ტერიტორია იჯარით გვაქვს გაცემული, იურიდიულად რამდენად გვაქვს უფლება მივუთითოთ რა წარწერა გააკეთონ?

პროფ. დავით ჯაფარიძე – რა მათ ხელშეკრულებაში უწერიათ, რომ წარწერა შეუძლიათ გააკეთონ?

პროფ. ნოდარ ქაჯაია – იმ ხელშეკრულებებს აქვს თუ არა ვადა?

პროფ. ნაომ ბოჭორიშვილი – აბა ლენინის ქანდაკება რომ იყო ის ჯობდა?

სპიკერი – ქანდაკება ჯობდა არქიტექტურულადაც და კომპოზიციურადაც. აბა ის ყვითელი პლასტმასის ნაძვები ჯობია?

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – როცა ადგილზე აკრავ სახელწოდებას, ეს რეკლამაში არ შედის. მე და ბატონი არჩილ მოწონელიძე შევხვდით “კენგურუს” მენეჯერებს, მაგრამ მათ კანონი იცავს.

სპიკერი – კი ბატონო გააკეთონ წარწერა უშუალოდ კარებზე და არა ასეთ თვალსაჩინო ადგილას.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე და საბჭომ ერთხმად გადაწყვიტა წამოყენებული საკითხები.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2008 წლის 9 ივლისის №24 სხდომის

ბ ა დ ა ო ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №4

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერის პროფ. ეკატერინე თევზაძის მიერ განსახილველად შემოტანილი იქნა 2 საკითხი: სტუ-ს I კორპუსის ფასადზე ამჟამად განთავსებული წარწერის “ხინკლის სახლი”-ს მოხსნის თაობაზე და სტუ-ს ყველა სასწავლო კორპუსზე წარწერებისა და სტუ-ს სიმბოლიკის განთავსების შესახებ.

საბჭომ იმსჯელა ამ საკითხზე და ერთხმად გადაწყვიტა:

1. მოიხსნას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის I კორპუსის

ფასადიდან წარწერა “ხინკლის სახლი” და გადატანილ იქნას უშუალოდ ამ

ობიექტის შესასვლელის თავზე ან ქუჩის დონეზე კიბეების საყრდენ კედელზე;

2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ყველა სასწავლო კორპუსზე განთავსდეს წარწერა “საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი” და სიმბოლიკა – ემბლემა და ალაში.

სპიკერი – გადავიდეთ დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-5 საკითხზე – კოსტავას ქ. №69-ში მდებარე სტუ-ს X სასწავლო კორპუსის (II კორპუსიდან X კორპუსში გადასასვლელი) მე-2 სართულზე არსებული 150 კვ.მ ფართის 5 წლის ვადით იჯარის ხელშეკრულებით გაცემის ნებართვის შესახებ, საოფისე და სატელეკომუნიკაციო საქმიანობისათვის – მომსახურებელი სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – წარმოგიდგინოთ კოსტავას ქ. №69-ში მდებარე სტუ-ს X სასწავლო კორპუსის (II კორპუსიდან X კორპუსში გადასასვლელი) მე-2 სართულზე არსებული 150 კვ.მ ფართის 5 წლის ვადით იჯარის ხელშეკრულებით გაცემის ნებართვის შესახებ, საოფისე და სატელეკომუნიკაციო საქმიანობისათვის. იმის გამო, რომ ამ ტერიტორიას გასასვლელი არ აქვს და აბსოლუტურად დანგრეულია, შემოსავალი იქნება მხოლოდ 5000 დოლარი.

პროფ. დავით ჯაფარიძე – იჯარით გასაცემი ფართები ძალიან გაძვირდა და ასე იაფად არ ღირს გაცემა.

პროფ. მალხაზ ხუციშვილი – დეკანატი არ არის საქმის კურსში.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – იჯარების საკითხს არ წყვეტს ფაკულტეტი, ამას წყვეტს წარმომადგენლობითი საბჭო. ჩვენ გვქონდა დეკანებთან საუბარი ფაკულტეტის ბიუჯეტზე და ერთადერთი ქიმია-მეტალურგიის ფაკულტეტი, რომელიც ვერ ფარავს თანამშრომლების ხელფასს.

პროფ. ივანე შავთვალიშვილი – თქვენ იცით რის გაკეთებას აპირებენ იქ?

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – აპირებენ ოფისების გაკეთებას.

სპიკერი – მართალია სტუ-ს II კორპუსიც ძველია, მაგრამ ეს ფართი შენობის მინაშენშია განთავსებული, ამიტომ ამ ფართის გაცემა შესაძლებელია ქალაქთან შეთანხმების გარეშე. თუმცა დასაფიქრებელია ის გარემოება, რომ თუკი ის ოფისად გაიჯარდება, როგორ მოხდება მისი მოხმარება ქალაქის მოსახლეობის მიერ? ვფიქრობ მოსაფიქრებელია დამოუკიდებელი შესასვლელის მოწყობა.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ დღის წესრიგით წარმოდგენილი მე-5 საკითხი (კოსტავას ქ. №69-ში მდებარე სტუ-ს X სასწავლო კორპუსის (II კორპუსიდან X კორპუსში გადასასვლელი) მე-2 სართულზე არსებული 150 კვ.მ ფართის 5 წლის ვადით იჯარის ხელშეკრულებით გაცემის ნებართვის შესახებ. საოფისე და სატელეკომუნიკაციო საქმიანობისათვის).

წარმოდგენილ საკითხს კენჭი უყარა: მომხრე – 48, წინააღმდეგი – 2, თავი შეიკავა – 2.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2008 წლის 9 ივლისის №24 სხდომის

ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №5

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2008 წლის 9 ივლისის №24 სხდომაზე სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი იქნა საკითხი კოსტავას ქ. №69-ში მდებარე სტუ-ს X სასწავლო კორპუსის (II კორპუსიდან X კორპუსში გადასასვლელი) მე-2 სართულზე არსებული 150 კვ.მ ფართის 5 წლის ვადით იჯარის ხელშეკრულებით გაცემის ნებართვის დამტკიცების შესახებ. საოფისე და სატელეკომუნიკაციო საქმიანობისათვის.

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ საკითხს: მომხრე – 50; წინააღმდეგი – 2; თავი არააინ შეიკავა.

საბჭოს წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით დამტკიცდა წარმოდგენილი ობიექტის გაიჯარების საკითხი.

სპიკერი – გადავიდეთ დღის წესრიგის მე-6 და მე-7 საკითხებზე – მომხსენებელი სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – წარმოგიდგენთ დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-6 და მე-7 საკითხებს: 1. აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილებაში სპეციალისტის 2 საშტატო ერთეულის ნაცვლად, უფროსი სპეციალისტის 1 საშტატო ერთეულის დამტკიცების შესახებ. (საფუძველი: განყოფილების უფროსის მოხსენებითი ბარათი); 2. სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილებაში სპეციალისტის 1 საშტატო ერთეულის

ნაცვლად, უფროსი სპეციალისტის 1 საშტატო ერთეულის დამტკიცების შესახებ. (საფუძველი: განყოფილების უფროსის მოხსენებითი ბარათი).

სპიკერი – ამ საკითხებთან დაკავშირებით არის საფინანსო-ეკონომიკური საკითხების შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის დადებითი დასკვნა. თუკი შეკითხვა და შენიშვნა არ გაქვთ გთხოვთ მე-6 და მე-7 საკითხებს კენჭი ვუყაროთ.

აღნიშნულ საკითხებს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2008 წლის 9 ივლისის №24 სხდომის

ბ ა დ ა ვ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №6

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2008 წლის 9 ივლისის №24 სხდომაზე სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი იქნა შემდეგი საკითხები: 1. აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილებაში სპეციალისტის 2 საშტატო ერთეულის ნაცვლად, უფროსი სპეციალისტის 1 საშტატო ერთეულის დამტკიცების შესახებ. (საფუძველი: განყოფილების უფროსის მოხსენებითი ბარათი). 2. სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილებაში სპეციალისტის 1 საშტატო ერთეულის ნაცვლად, უფროსი სპეციალისტის 1 საშტატო ერთეულის დამტკიცების შესახებ. (საფუძველი: განყოფილების უფროსის მოხსენებითი ბარათი).

საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებითა და საფინანსო ეკონომიკური საკითხების შემსწავლელი კომისიის დადებითი დასკვნის საფუძველზე ერთხმად დამტკიცდა წარმოდგენილი ცვლილებები, კერძოდ:

1. აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილებაში სპეციალისტის 2 საშტატო ერთეულის ნაცვლად დაფიქსირდეს უფროსი სპეციალისტის 1 საშტატო ერთეული.

2. სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილებაში სპეციალისტის 1 საშტატო ერთეულის ნაცვლად დაფიქსირდეს უფროსი სპეციალისტის 1 საშტატო ერთეული.

სპიკერი – გადავიდეთ დღის წესრიგის მე-8 და მე-11 საკითხებზე –

მომხსენებელი სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – წარმოგიდგენთ დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-8 და მე-11 საკითხებს: 1. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მდივან-რეფერენტის თანამდებობის გაუქმებისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილის თანაშემწეს თანამდებობის შექმნის შესახებ. 2. სპიკერის თანაშემწეს და წარმომადგენლობითი საბჭოს მდივან-რეფერენტის თანამდებობების სახელწოდების შეცვლის შესახებ.

სპიკერი – ამ საკითხებთან დაკავშირებით არის საფინანსო-ეკონომიკური საკითხების შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის დადებითი დასკვნა. თუკი შეკითხვა და შენიშვნა არ გაქვთ გთხოვთ მე-8 და მე-11 საკითხებს კენჭი ვუყაროთ.

აღნიშნულ საკითხებს კენჭი ვყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2008 წლის 9 ივლისის №24 სხდომის

ბ ა ღ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №7

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2008 წლის 9 ივლისის №24 სხდომაზე სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი იქნა შემდეგი საკითხები: 1. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მდივან-რეფერენტის თანამდებობის გაუქმებისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილის თანაშემწეს თანამდებობის შექმნის შესახებ. 2. სპიკერის თანაშემწეს და წარმომადგენლობითი საბჭოს მდივან-რეფერენტის თანამდებობების სახელწოდების შეცვლის შესახებ.

საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებითა და საფინანსო ეკონომიკური საკითხების შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის დადებითი დასკვნის საფუძველზე ერთხმად დამტკიცდა:

1. გაუქმდეს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მდივან-რეფერენტის თანამდებობა და შეიქმნას ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მოადგილის თანაშემწის თანამდებობა.

2. სახელწოდება შეეცვალოს: სპიკერის თანაშემწეს და ეწოდოს

წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნოს უფროსი (ხელფასის შენარჩუნებით), ხოლო წარმომადგენლობითი საბჭოს მდივან-რეფერენტს - წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნოს სპეციალისტი (ხელფასის შენარჩუნებით).

სპიკერი – გადავიდეთ დღის წესრიგის მე-9 და მე-10 საკითხებზე – მომხსენებელი სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – წარმოგიდგენთ დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-9 და მე-10 საკითხებს: 1. სწავლებისა და მეცნიერების სამმართველო გადააკეთდეს სწავლებისა და მეცნიერების დეპარტამენტად.

2. სამეურნეო და საექსპლუატაციო-სარემონტო სამმართველო გადააკეთდეს სამეურნეო და საექსპლუატაციო-სარემონტო დეპარტამენტად.

პროფ. დავით ჯაფარიძე – ჩვენ ხშირად მივმართავთ ცვლილებებს, მე ამ ცვლილებების მომხრე არ ვარ, მე მაინც მიმაჩნია, რომ სტაბილური სტრუქტურა უნდა შევქმნათ.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – ეს საკითხი ეხება არა შტატების გაზრდას, არამედ შემცირებას. შტატები გადასახედია. კომისიისგან მივიღე დავალება წარმოვადგინო ახალი საშტატო ნუსხა. ჩვენთან ადმინისტრაციის რაოდენობის შემცირებაც მოხდება ეტაპობრივად, რომ ცვლილებები არ იყოს მტკივნეული.

პროფ. ნაომ ბოჭორიშვილი – ვისაც საათები აქვს, უფროსი მასწავლებლის შტატის აყვანა შეუძლია თუ არა?

სპიკერი – ამ საკითხებთან დაკავშირებით არის საფინანსო-ეკონომიკური საკითხების შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის დადებითი დასკვნა. თუკი შეკითხვა და შენიშვნა არ გაქვთ გთხოვთ მე-9 და მე-10 საკითხებს კენჭი გუყაროთ.

აღნიშნულ საკითხებს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2008 წლის 9 ივლისის №24 სხდომის

ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №8

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2008 წლის 9 ივლისის №24 სხდომაზე სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი იქნა შემდეგი საკითხები:

1. სწავლებისა და მეცნიერების სამმართველო გადაკეთდეს სწავლებისა და მეცნიერების დეპარტამენტად.
2. სამეურნეო და საექსპლუატაციო-სარემონტო სამმართველო გადაკეთდეს სამეურნეო და საექსპლუატაციო-სარემონტო დეპარტამენტად.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებითა და საფინანსო ეკონომიკური საკითხების შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის დადებითი დასკვნის საფუძველზე საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი:

1. სამეურნეო და საექსპლუატაციო-სარემონტო სამმართველო გადაკეთდეს სამეურნეო და საექსპლუატაციო-სარემონტო დეპარტამენტად;
2. სწავლებისა და მეცნიერების სამმართველოს ეწოდოს სწავლებისა და მეცნიერების დეპარტამენტი.

სპიკერი – გადავიდეთ დღის წესრიგის მე-12 საკითხზე – მომხსენებელი სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – წარმოგიდგინო დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-12 საკითხს: სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონიტორინგის ჯგუფის უფროსის ხელფასის მატების შესახებ (მისი ხელფასი გაიზარდოს 589 ლარიდან 800 ლარამდე).

სპიკერი – გთხოვთ მე-12 საკითხს ვუყაროთ კენჭი.

წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2008 წლის 9 ივლისის №24 სხდომის

ბ ა დ ა ვ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №9

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2008 წლის 9 ივლისის №24 სხდომაზე სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი იქნა საკითხი სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონიტორინგის ჯგუფის უფროსის ხელფასის მატების შესახებ.

საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით ერთხმად დამტკიცდა – სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონიტორინგის ჯგუფის უფროსის ხელფასი 589 ლარიდან გაიზარდოს 800 ლარამდე.

სპიკერი – გადავიდეთ დღის წესრიგის მე-13 საკითხზე – მომხსენებელი სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – განვიხილოთ მე-13 საკითხი: ნაგებობების, სპეციალური სისტემების და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის, შემოსავლებისა და ხარჯების ხარჯთაღრიცხვაში შესატანი ცვლილებების დამტკიცების შესახებ. აქაც ხდება ბანალური ცვლილება.

სპიკერი – გთხოვთ მე-12 საკითხს ვუყაროთ კენჭი.

წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2008 წლის 9 ივლისის №24 სხდომის

ბ ა დ ა ვ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №10

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2008 წლის 9 ივლისის №24 სხდომაზე სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი იქნა საკითხი ნაგებობების, სპეციალური სისტემების და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის, შემოსავლებისა და ხარჯების ხარჯთაღრიცხვაში შესატანი ცვლილებების დამტკიცების შესახებ.

საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით დამტკიცდა ნაგებობების, სპეციალური სისტემების და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის, შემოსავლებისა და ხარჯების ხარჯთაღრიცხვაში შესატანი ცვლილებები, კერძოდ:

- 1. სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობის მუხლიდან 1929 ლარი გადატანილ იქნას მივლინების ხარჯებში;*
- 2. სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობის მუხლიდან 2000 ლარი გადატანილ იქნას კომუნალურ ხარჯებში (წყლის ხარჯებში);*
- 3. დაცვის სამსახურისათვის გასული წლის დავალიანების 9500 ლარის დაფარვა.*

მიმდინარე საკითხები:

პროფ. აგული სოხაძე – 1) ჩვენ ვერ მოვახერხეთ ვერაფერი დაცვასთან დაკავშირებით. ეს დაცვა თუ არსებობს, რა შედეგათები იყო დაცვის მხრიდან? 2) ჩვენ მოგვთხოვეს ლაბორატორიებისთვის საჭირო სიები, არც ჩვენს საბჭოზე იხილება ეს საკითხი და არც აღჭურვილობაა არსად. ასევეა წიგნებიც: ჩვენ კმაყოფილი ვართ ადმინისტრირებით, მაგრამ ცოტა წამოვწიოთ სასწავლო

პროცესი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – დაცვასთან დაკავშირებით, ცხადია დაცვის ბიუჯეტი გაიზარდა, რადგან 110 ლარიანი დარაჯი არაფერს გააკეთებს. შეიძლება გეთქვათ რატომ შემოვიყვანეთ სხვა? იმიტომ რომ ადამიანი, რომელიც ჯოხით დადის ის ვერ დაიცავს. რაც შეეხება თქვენს კათედრას, როდესაც 2-ჯერ ზედიზედ გასაღებით იღება კარები, ეს არ არის ქუჩიდან შემოსული, ეს არის თქვენივე თანამშრომელი. რომ ყოფილიყო ქურდობა, მე მაშინ დავაბრალებდი დაცვას.

ლაბორატორიების აღჭურვა პერმანენტულად მიმდინარეობს. მაგრამ თუ დეკანის განცხადება არ შედის, ჩვენ შესყიდვების გეგმაში ვერ ჩავსვამთ. ლიტერატურასთან დაკავშირებით არანაირი პრობლემა არ არსებობს. ჩვენ მოგვმართეთ, ფული რეალურად არსებობს.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – მინდა ერთი საკითხი გამოვიტანო თქვენს წინაშე. მე მივმართე ქალბატონ ეკატერინეს და მან ვერ გადაწყვიტა ეს საკითხი. ამიტომ გამომაქვს თქვენთან. თქვენ გახსოვთ პრემიების გაცემა. ჩვენ გვქონდა დარჩენილი ნაშთი სტიპენდიებში, მაშინ მოვახდინეთ ამ ნაშთის გადმოტანა პრემიების თანხაში. დავარიგეთ ერთი თვის ხელფასი და ეს არის დაფიქსირებული გადაწყვეტილებაში. ჩემი თხოვნაა, რომ ის რაც რეალურად იყო, ავსახოთ დანართის სახით, რომელიც აეკვრება იმ გადაწყვეტილებას.

სპიკერი – იმ სხდომაზე ეს ციფრი წერილობით არ იყო წარმოდგენილი, ამიტომაც არ აისახა ოქმში. თუკი საბჭო გადაწყვეტს მე მზად ვარ შევქმნა ასეთი დანართი, ოღონდ შევთანხმდეთ, როგორი ფორმით გაკეთდება.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – სტიპენდიების გადატანა პრემიებში. ეს დაერთოს დანართის სახით.

პროფ. დავით ჯაფარიძე – ჩვენ გვქონდა წინააღმდეგობა, რომ აკადემიურ პერსონალს მთლიანი ხელფასი მიცემოდა, დამხმარეს – ნახევარი. ხელფასის მომატების საკითხს რომ ვიხილავდით და პრემიები რომ გაიცა, ამიტომ ხელფასების მომატება მოხდა მარტივად.

სპიკერი – ვინ არის მომხრე დამევალოს მე, დანართის სახით გავაფორმო ეს გადაწყვეტილება და დაურთო 12 დეკემბრის №16 ოქმს?

წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად.

სპიკერმა, პროფ. ეკატერინე თევზაძემ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს აუწყა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა, საბჭოს

წევრებს მადლობა გადაუხადა სხდომაში მონაწილეობისთვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი, პროფესორი

/ეკატერინე თევზაძე/

სხდომის მდივანი,
ასოცირებული პროფესორი

/გინა გურეშიძე/